ტექნიკური დავალება
საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

24.11.2020 წ.

- **დამკვეთი-მენაშენე** - შ.პ.ს.
- **ობიექტის დასახელება** - მრავალბინიანი საცოხვრებელი სახლი;
- **მშენებლობის ტიპი** - ახალი მშენებლობა;
- **ობიექტის მისამართი** - ქ.თბილისი დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს;
- **ობიექტის დაპროექტების სტადია** - სამშენებლო დოკუმენტაცია;
- **შენობის პასუხისმგებოლბის დონე (ГОСТ 27751-88)** – II;
- **შენობის ტიპი:** - რკ.ბეტონის, მონოლითური, კარკასული;
- **ობიექტის ტექნიკური დახასიათება** - შენობა გეგმაში მართკუთხედი, 26÷28 სართულიანი, აქედან 3 მიწისქვეშა სართულით.
- **ზომები გეგმაში** - 20X80 მ-ზე
- **±0,00 სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული:** ±0,00-510,40 (პირობითი);
- **სარდაფის სართულის (სართულების) მაქსიმალური ჩაღრმავება ±0,00 ნიშნულიდან:** -9,5 მ;
- **საძირკვლის სავარაუდო ტიპი** - დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე. განიხილება ერთიანი რკ.ბეტონის მონოლიტური ფილაც, ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებიც;
- **საპროექტო სავარაუდო დატვირთვა საძ.-ის ფუძეზე:** 3.4-3.8 კგძ/სმ2-ზე ფილის შემეთხვევაში;
- **საველე სამუშაოები** - საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილ იქნას 5 **(სარეკომენდაციო რაოდენობა და მდებარეობა, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს ინჟინერ-გეოლოგის მიერ)** ჭაბურღილი, სიღრმე განისაზღვროს გეოლოგის მიერ **СниП 1.02.07.87** თანახმად.
- **განსაკუთრებული აღნიშვნები** - შეფასდეს უბნის ამგები გრუნტების, ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრები: ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, პუასონის კოეფიციენტი, სიმკვრივე, საგების კოეფიციენტი, ხახუნის კუთხე, შეჭიდულობა, საანგარიშო წინაღობა, ძირითადი კლდოვანი გრუნტების წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ისე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში. ($R_{C(0)}$; p; E; C; μ; φ) და სხვა. **საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა დამუშავებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.**
- **შენიშვნა-** საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული, მინიმუმ 2 ეგზემპლარად (ქართულ ენაზე) და აგრეთვე ელ. ვერსია;
- **დანართი** - ტოპოგრაფიული გეგმა, საპროექტო შენობის კონტურით და ჭაბურღილების განლაგების სავარაუდო ადგილების მითითებით;

უფროსი მენეჯერი ვ. შაქარაშვილი

E-mail v.shakarashvili@archi.ge

მ ი წ ე რ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, IV მ/რ-ში რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს (ს/კ 01.11.17.005.154) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისათვის) პ. 1.19-ის მე-2 შენიშვნის და 1.22 პუნქტის, პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), აგრეთვე 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნის საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევის მიზანი: მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

უშუალოდ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, წინა წლებში ჩატარებული კვლევის შესახებ ცნობილი არ არის. მოცემულ რაიონში, საკვლევი ტერიტორიის მეზობელ უბნებზე შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ მიერ, წინა წლებში მთელ რიგ ობიექტებზე ჩატარებულია კვლევები, რომელთა შესახებ მასალები ინახება განყოფილების არქივში და გამოყენებული იქნეს დასკვნის შედგენისას.

ტერიტორია, სადაც განთავსდება დასაპროექტებელი კომპლექსი, გეომორფოლოგიურად მდებარეობს საგურამოს ქედის სამხრეთ პერიფერიულ დაბოლოების ნაწილში.

აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, სნ და წ 2.02.03-85) მოთხოვნების თანახმად, ასევე დამკვეთთან შეთანხმებით, ტერიტორიაზე გაიბურღოს 6 ჭაბურღილი ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის დაფიქსირებით, სიღრმით სავარაუდოდ 25,0 მ-ის ფარგლებში.

ბურღვა შესრულდეს მექანიკური-სვეტური მეთოდით (საბურღი დაზგა „უგბ-1ვს“, d=160 მმ-დე) მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

კვლევითი ჭაბურღილების გაყვანისას, აღებული იქნეს გრუნტის ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ 3.75-ში რეგლამენტირებული რაოდენობით.

მიწისქვეშა წყლის გამოვლინებისას, აღებულ იქნეს წყლის სინჯები ქიმიური ანალიზებისთვის და აგრესიულობის ხარისხის დასადგენად.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს 2 ეგზემპლარად. შესრულდეს ჩატარებული კვლევის ელექტრონული ვერსია.

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, IV მ/რ-ში რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს (ს/კ 01.11.17.005.154 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I – შესავალი

შპს „მუხიანი დეველოპმენტი“-ის (დირექტორი გიგა ხვინგია) დაკვეთის საფუძველზე (დაკვ. №153/2020), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, 2020 წლის დეკემბერში,

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, IV მ/კრ-ში რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს (ს/კ 01.11.17.005.154) საცხოვერბელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების პირობების დადგენა.

უშუალოდ ტერიტორიაზე წინა წლებში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესახებ ცნობილი არ არის.

მახლობელ უბნებზე, წინა წლებში ჩატარებულია კვლევითი სამუშაოები, რომელთა შესახებ მასალები ინახება შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების არქივში და გამოყენებულია დასკვნის შედგენისას.

აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების საფუძველზე შედგენილი მიწერილობის და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, სნ და წ 2.02.03-85, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების თანახმად, ასევე დამკვეთთან შეთანხმებით, ტერიტორიაზე გაიბურღა ექვსი ჭაბურღილი – №№1÷6; №№1, 3 და 5 სიღრმით – 25,0 მ თითოეული, №№2, 4 და 6 – 20,0 მ თითოეული, მთლიანი მოცულობით 135,0 გრძ. მეტრი.

ბურღვა შესრულდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 16 ნიმუში, აქედან 6 ნიმუში – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანიდან, 10 ნიმუში – გამოფიტული ძირითადი ქანიდან, სუბარგილითიდან.

უბანზე გავრცელებული გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზებისთვის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების განსასაზღვრავად აღებულია 3 სინჯი.

გრუნტების ნიმუშების და წყლის სინჯების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. შედეგები ერთვის დასკვნას.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, რომელზედაც დატანილია ჭაბურღილების განლაგება და რომლის მიხედვით შესრულდა მათი გეგმურ-სიმაღლითი მიბმა.

თავი II – საკვლევი უბნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, კლიმატი, გეომორფოლოგიური, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები)

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, IV მ/კრ-ში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს (ს/კ 01.11.17.005.154).

სამშენებლო ტერიტორია ისაზღვრება:

– ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – საკარმდამო ნაკვეთებით;

– სამხრეთ-დასავლეთიდან – რ. გაბაშვილის ქუჩით;

– სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ა. ისაკიანის ქუჩით.

ტერიტორია თავისუფალია შენობა–ნაგებობებისაგან.

ქ. თბილისის მოცემული რაიონისთვის ძირითადი კლიმატური მონაცემები შემდეგია (პნ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია“):

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ W_0=0,85 კპა;

– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;

– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;

– აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 25°C;

– აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ნალექების რაოდენობა წელიწადში – 550 მმ;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

გეომორფოლოგიურად სამშენებლო მოედანი წარმოადგენს საგურამოს ქედის სამხრეთ პერიფერიულ დაბოლოების ნაწილს. მიწის ზედაპირის ნიშნულები საკვლევი უბნის ფარგლებში, მერყეობენ 502,30 მ-დან 510,60 მ-მდე.

ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის ე. წ. „მაიკოპის წყების“ ფიქლებრივი თიხები (სუბარგილითები) და მათი მფარავი მეოთხეული თიხოვანი გრუნტები.

იდროგეოლოგიური პირობების მხრივ ტერიტორია ხასიათდება მეოთხეულ თიხოვან გრუნტებში გავრცელებული გრუნტის წყლებით.

თავი III – ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III_1 – უბნის გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი გრაფიკული მასალიდან ჩანს, საკვლევ უბანზე, მიწის ზედაპირიდან 0,7–3,2 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია ტექნოგენური – ნაყარი გრუნტი (tQ_{IV}), წარმოდგენილი თიხის, თიხნარის, კენჭების, ხვინჭის, ღორღის, და სამშენებლო ნაგვის შემკვრივებული ნარევით (ფენა 1). ნაყარი გრუნტის ქვეშ, 0,7–3,2 მ-ის სიღრმიდან 5,2–9,6 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია – დელუვიური გენეზისის (dQ_{IV}) გრუნტი, რომელიც წარმოდგენილია ნახევრადმყარი კონსისტენციის, კარბონატული ყავისფერი თიხით (ფენა 2). თიხოვანი გრუნტის შემდეგ გამოკვლეულ სიღრმემდე (25,0 მ), გავრცელებულია ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის ძირითადი ქანი ($P_3+N_1^1$) – ე. წ. „მაიკოპის წყების“ ნალექები, წარმოდგენილი ფიქლებრივი თიხებით, თიხოვანი ქვიშაქვების (ზოგჯერ ალევროლითების) თხელი (10 სმ-მდე) იშვიათი შუაშრეებით.

ძირითადი ქანები 8,6–12,5 მ-ის სიღრმემდე ძლიერ გამოფიტულია (ფენა 3), ხოლო შემდეგ გამოფიტული და შეიძლება დახასიათდეს როგორც ნახევრადკლდოვანი გრუნტი (ფენა 4) – სუბარგილითი (შუალედური მდგომარება თიხოვანი გრუნტის და არგილითის).

მაიკოპის წყების ნალექების ხილული სიმძლავრე 16,8–22,5 მ-ია. გეოლოგიური საფონდო მონაცემებით მისი სიმძლავრე რამდენიმე ათეული მეტრია და შემოფენილია ზედა ეოცენის ძირითადი ქანებით – არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობით.

III_2 – შბნის ჰიდროგეოლოგიური პირობები

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღსანიშნავია შემდეგი: გრუნტის წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, სხვადასხვა სიღრმეზე (3,9–6,3 მ), რომელიც დამყარდა მიწის ზედაპირიდან 2,8–3,6 მ სიღრმეზე.

გენეტიკურად გრუნტის წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრირებულ წყალს. წლის ნალექიან პერიოდში მოსალოდნელია გრუნტის წყლის დონის აწევა და საორიენტაციოდ მაქსიმალურ დონედ მიღებული იქნეს +0,5 მ, დამყარებულ დონესთან შედარებით.

თავი IV – ბრუნტების ლაბორატორიული შესწავლის შედეგები

IV_1 – ბრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკვლევ ტერიტორიაზე, გრუნტებიდან აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილია დაურღვეველი სტრუქტურის 16 ნიმუში, 6 – ნიმუში „მაიკოპის წყების“ ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანიდან (ფენა 3) და – 10 ნიმუში გამოფიტული ძირითადი ქანიდან – სუბარგილითიდან (ფენა 4). ლაბორატორიაში შესწავლილი იქნა ფენა 3-ის ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, ხოლო ფენა 4-ის ძირითად ქანზე განისაზღვრა სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და სიმკვრივეები, ბუნებრივ მდგომარეობაში (შეესაბამება წყალგაჯერებულს).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას ცხრილების სახით.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში, მოცემულია ფენა 3-ის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია შესაბამისი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,20–0,23	0,22
2	ტენიანობა		W	%	20,8–25,6	23,0
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,97–2,04	2,00
		მშრალი გრუნტის	$ρ_d$		1,58–1,69	1,63
		გრუნტის ნაწილაკების	$ρ_s$		2,72–2,74	2,73
4	ფორიანობა		n	%	37,9–42,0	40,4
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,611–0,724	0,679
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,07–0,18	0,12
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	089–0,97	0,93

როგორც ცხრილიდან ჩანს, „მაიკოპის წყების“ თიხოვანი გრუნტები მიეკუთვნებიან:

– ნახევრადმყარი კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,12) თიხას ($\overline{I_P}$=0,22), ტენიანობის ხარისხის მიხედვით ($\overline{S_r}$=0,93>0,80) გრუნტი სრულად წყალგაჯერებულია.

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დაურღვეველი სტრუქტურის 10 ნიმუში აღებულია სუბარგილითიდან (ფენა 4).

აღებულ ნიმუშებზე ლაბორატორიაში განისაზღვრა სიმტკიცის ზღვრები წყალნაჯერ მდგომარეობაში და სიმკვრივე. (გრუნტის სიმტკიცე განისაზღვრა „Controlsi“–ს ფირმის ხელსაწყოზე) ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში მოცემულია ძირითადი ქანების გამოცდის შედეგების მონაცემები და გამოთვლილია საშუალო მნიშვნელობები.

ცხრილი 2

№	გრუნტის დასახელება	გამონამშ. №	ნიმუშის აღების სიღრმე, h მ	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C მპა (კგძ/სმ²)	სიმკვრივე ρ გ/სმ³
1	სუბარგილითი (ფენა 4)	ჭაბ. №1	14,0	1,6 (16,0)	2,08
2			20,0	2,7 (27,0)	2,15
3		ჭაბ. №2	10,0	1,9 (19,0)	2,12
4			25,0	2,9 (29,0)	2,16
5		ჭაბ. №3	15,0	2,0 (20,0)	2,09
6			21,0	2,5 (25,0)	2,13
7		ჭაბ. №4	14,0	2,1 (21,0)	2,10
8			18,0	2,3 (23,0)	2,14
9		ჭაბ. №6	13,0	1,9 (19,0)	2,08
10			19,0	2,7 (27,0)	2,17
საშუალო მნიშვნელობა				2,3 (23,0)	2,12

ცხრილში მოცემული საშუალო მნიშვნელობების მიხედვით სუბარგილითები, პნ 02.01-08-ის საკლასიფიკაციო ცხრილის (დანართი 1-ის, ცხრილი 1) თანახმად, სიმტკიცის ზღვრის მიხედვით წყალნაჯერ მდგომარეობაში მიეკუთვნება ნახევრადკლდოვანს – $\overline{R_c}$=2,30 მპა (23,0 კგძ/სმ²), $\overline{\rho}$=2,12 გ/სმ³.

IV-2 – ბრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

საკვლევ უბანზე, საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დროს ჩატარებული გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზების თანახმად, გამოკვლეული წყალი-გარემო ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

შემადგენელი ქიმიური კომპონენტების მიხედვით, მიწისქვეშა წყალი მიეკუთვნება სულფატურ-ნატრიუმიან-კალციუმიანი ტიპის წყლებს. მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი) 5780,8–5933,1 მგ/ლ ფარგლებშია. წყლის სინჯების-თვის საერთო სიხისტეა 64,3–65,0 მგ/ექვ.

გამოკვლეული წყალი-გარემო ამჟღავნებს შემდეგ თვისებებს:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

1. პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76; სტანდარტი 31108) გამოყენებისას:

ა) ძლიერ აგრესიულია W_4 – W_6 – W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ;

ბ) ძლიერ აგრესიულია W_{10}–W_{14} წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ;

გ) საშუალოდ აგრესიულია W_{16}–W_{20} წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი, სტანდარტი 31108) კლინკერში ჩანართებით C_3S – 65%, C_3A – 7%, C_3A+C_4AF – 22%, წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_6–W_8; W_{10}–W_{14}; W_{16}–W_{20} წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინაბეტონის არმატურის მიმართ ქლორიდების შემცველობის მიხედვით (1115,0 მგ/ლ):

ა) არააგრესიულია მუდმივად წყლის გარემოში ყოფნის დროს;

ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთ განხილულის საფუძველზე, დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან აქ არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება და არც მომავალშია მოსალოდნელი.

   ტერიტორიის ფარგლებში წყლის მაღალი დონეები არახელსაყრელი ფაქტორია – ხელს უშლის დასახული პროექტის რეალიზებას და მოითხოვს საკითხის გადაწყვეტას.

   სნ და წ 1.02.07–87-ის მე-10 დანართის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება – II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. ტერიტორიის ამგებ გრუნტებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოიყოფა 3 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (**სბე**):

   I სბე – თიხოვანი გრუნტი (ფენა 2);
   II სბე – მაიკოპის წყების ძირითადი ქანი, ძლიერ გამოფიტული (ფენა 3);
   III სბე – მაიკოპის წყების ძირითადი ქანი, გამოფიტული (ფენა 4).

   ნაყარი გრუნტი ქვაბულით მოსახსნელია და **სბე**–დ არ განიხილება.

3. უბნის გეოლოგიურ–ლითოლოგიური სურათიდან და დასაპროექტებელი კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლებიდან (29 სართული) გამომდინარე, საძირკვლების ფუძე–გრუნტებად გამოყენებული იქნება **III სგე**-ს გრუნტი (ფენა 4). საძირკვლის ტიპად გამოყენებული იქნება მთლიანი ხიმინჯოვანი ველი – შენობის ქვეშ თანაბრად განაწილებული ხიმინჯები (ბურღვით–ნატენი), გაერთიანებული და გრუნტზე დაყრდნობილი მთლიანი როსტვერკით.

   ხიმინჯის მზიდუნარიანობის საჭირო სიდიდე გამოითვლება სნ და წ 2.02.03-85-ის მე-5 და მე-6 ფორმულებით, ფუძე–გრუნტში ხიმინჯის შესვლის სიგრძესთან და დიამეტრთან დამოკიდებულებაში.

4. ფუძის ანგარიშისათვის ქვემოთ, ცხრილ 3-ში, მოცემულია ტერიტორიაზე გამოყოფილი სამივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, ნორმატიული დოკუმენტების, საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო-თეორიული ცნობარი), გამოყენების საფუძველზე:

ცხრილი 3

№№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები		
		I სბე (ფენა 2)	**II სბე** (ფენა 3)	**III სბე** (ფენა 4)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,87	2,0	2,12
2	ხვედრითი შეჭიდულობა, c კპა (კგძ/სმ^2)	46 (0,46)	63 (0,63)	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	17	20	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	17 (170)	23 (230)	–
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა(კგძ/სმ^2)	150 (1,5)	380 (3,8)	–
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c კპა (კგძ/სმ^2)	–	–	2300 (23,0)
7	დრეკადობის (იუნგის) მოდული $E_დ$ მპა	–	–	820
8	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ^3	3,0	10,0	20,0
9	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,42	0,42	0,25
10	ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი f_n	0,25	0,60	0,65
11	ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$ მ/დღ.ღ.	<0,1	<0,1	<0,1

შენიშვნა: ხიმინჯოვანი საძირკვლისთვის, ხიმინჯის ტანის შემომფენავი გრუნტების საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობები მიღებული იქნეს სნ და წ 2.02.03-85-ის დანართი 1-ის მიხედვით.

5. დასახული პროექტის სრული მოცულობით რეალიზაციისას (3 მიწისქვეშა სართული), უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება სათანადო ღონისძიების გატარება მიწისქვეშა სართულებში წყლის შეღწევისგან დასაცავად (ჰიდროიზოლაცია, რგოლური დრენაჟი).

6. მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის გამოყენებული იქნეს გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზების დასკვნაში რეკომენდებული ცემენტებით დამზადებული ბეტონები (სულფატომედეგი).
7. ქვაბულის დამუშავებისას საჭირო იქნება წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. საორიენტაციოდ წყლის მოდენი ქვაბულის თითოეული $მ^2$-დან ან სადრენაჟო თხრილის გრძივი მეტრიდან მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ.
8. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

   ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:

   ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – III კატეგორიას;

   ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 3 და 4) – II კატეგორიას.

   უბნის საანგარიშო სეისმურობად განიაზღვროს 8 ბალი.

   სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისისთვის A=0,17.
9. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებულ იქნეს სნ და წ 3.02.01-87 პ. პ. 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV–2-82-ის I-I ცხრილის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

    ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – დამუშავების სამივე სახეობისათვის (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1870 კგ/მ3 (რიგ. №24ა).

    ბ) თიხოვანი გრუნტი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1870 $კგ/მ^3$ (რიგ. №8ბ);
11. ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, ხიმინჯების მოსაწყობად გასაყვანი ჭაბურღილებისთვის გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდის და სიძნელის, აგრეთვე მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება იმავე სნ და წ-ის კრებული 4 (ჭაბურღილები) 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

წამყვანი სპეციალისტი მ. მამუკაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

შპს „ახალი საქართველოს“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43ჲ
ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. მუხიანის დასახლება. IV მ/რ (ს.კ. 01.11.17.005.154) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი	

რიგითი №	ჭაბურღილის №	სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	პლასტიკურობა			ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი		დენადობის მაჩვენებელი	ტენიანობის ხარისხი	წინასწარი შეფასების მაჩვენებელი	ბრუნტის დასახელება
					დენადობის ზღვარი	პლასტიკურ. ზღვარი	რიცხვი		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების		საწყისი	დენადობის ზღვარზე				
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	
		მ			-	-	-	%	გ/სმ^3			%	-	-	-	-	-	
1	ჭაბ. №1	5.0	მონ.	146	0.42	0.20	0.22	24.0	1.99	1.60	2.74	41.4	0.707	1.151	0.18	0.93	0.26	თიხა
2		8.0	მონ.	147	0.40	0.20	0.20	21.4	2.02	1.66	2.73	39.1	0.641	1.092	0.07	0.91	0.28	თიხა
3		14.0	მონ.	148					2.08									სუბარგილითი
4		20.0	მონ.	149					2.15									სუბარგილითი
5	ჭაბ. №2	15.0	მონ.	150					2.12									სუბარგილითი
6		15.0	მონ.	151					2.16									სუბარგილითი
7	ჭაბ. №3	6.0	მონ.	152	0.40	0.19	0.21	20.8	2.04	1.69	2.72	37.9	0.611	1.088	0.09	0.93	0.30	თიხა
8		10.0	მონ.	153	0.44	0.22	0.22	25.6	2.00	1.59	2.74	41.9	0.721	1.206	0.16	0.97	0.28	თიხა
9		12.0	მონ.	154					2.09									სუბარგილითი
10		21.0	მონ.	155					2.13									სუბარგილითი
11	ჭაბ. №4	14.0	მონ.	156					2.10									სუბარგილითი
12		18.0	მონ.	157					2.14									სუბარგილითი
13	ჭაბ. №5	4.0	მონ.	158	0.43	0.21	0.22	24.4	1.97	1.58	2.73	42.0	0.724	1.174	0.15	0.92	0.26	თიხა
14		8.0	მონ.	159	0.43	0.20	0.23	21.9	1.99	1.63	2.73	40.2	0.672	1.174	0.08	0.89	0.30	თიხა
15	ჭაბ. №6	13.0	მონ.	160					2.08									სუბარგილითი
16		19.0	მონ.	161					2.17									სუბარგილითი

ინჟინერი მ. ჭარბაძე წამყვანი ინჟინერ ჟიმიკოსი ნ. სურგულაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

ცხრ. №2

შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
	ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. მუხიანის დასახლება. IV მ/რ (ს.კ. 01.11.17.005.154) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი	

რიგითი №	გამონამუშევრის №	აღების სიღრმე	გამოცდის ტიპი	ლაბ. №	სიგანე	დიამეტრი	ფართობი	ეკვივალენტური კერნის დიამეტრი		მრღვევი ძალა	სიმტკიცის ინდექსი	კორექტირების კოეფ-ტი	კორექტირებული სიმტკიცის ინდექსი	კოეფ-ტი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალგაჯ.)	სიმკვრივე	გრუნტის დასახელება
		h			W	D	A	D_e^2	D_e	P	I_s	F	$I_{s(50)}$	C	$Rc\ (\delta_{uc})$	ρ	
		მ			მმ	მმ	მმ²	მმ²	მმ	კნ	მპა	-	მპა	-	მპა	გ/სმ³	
1	ჭაბ. №1	14.0	d-არასწორი ფორმის	148	62.8	42.0	2637.6	3358.3	57.95	0.205	0.06	1.07	0.07	24.5	1.6	2.08	სუბარგილიტი
2		20.0	d-არასწორი ფორმის	149	60.7	35.5	2154.9	2743.6	52.38	0.311	0.11	1.02	0.12	23.5	2.7	2.15	სუბარგილიტი
3	ჭაბ. №2	10.0	d-არასწორი ფორმის	150	70.4	30.4	2140.2	2724.9	52.20	0.218	0.08	1.02	0.08	23.5	1.9	2.12	სუბარგილიტი
4		15.0	d-არასწორი ფორმის	151	71.8	31.8	2283.2	2907.1	53.92	0.344	0.12	1.03	0.12	24.0	2.9	2.16	სუბარგილიტი
5	ჭაბ. №3	15.0	d-არასწორი ფორმის	154	68.4	32.1	2195.6	2795.6	52.87	0.225	0.08	1.03	0.08	24.0	2.0	2.09	სუბარგილიტი
6		21.0	d-არასწორი ფორმის	155	65.0	36.5	2372.5	3020.8	54.96	0.297	0.10	1.04	0.10	24.0	2.5	2.13	სუბარგილიტი
7	ჭაბ. №4	14.0	d-არასწორი ფორმის	156	69.1	30.7	2121.4	2701.0	51.97	0.239	0.09	1.02	0.09	23.0	2.1	2.10	სუბარგილიტი
8		18.0	d-არასწორი ფორმის	157	70.3	40.2	2826.1	3598.3	59.99	0.307	0.09	1.09	0.09	24.5	2.3	2.14	სუბარგილიტი
9	ჭაბ. №6	13.0	d-არასწორი ფორმის	160	70.5	38.4	2707.2	3446.9	58.71	0.255	0.07	1.07	0.08	24.5	1.9	2.08	სუბარგილიტი
10		19.0	d-არასწორი ფორმის	161	75.0	38.0	2850.0	3628.7	60.24	0.370	0.10	1.09	0.11	24.5	2.7	2.17	სუბარგილიტი

ინჟინერი მ. ჯარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „ახალი საძძალაძმშენპროექტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43ჲ

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. მუხიანის დასახლება. IV მ/რ (ს.კ. 01.11.17.005.154)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

წყალაუნქტის დასახელება ჭაბ № 1	სინჯის აღების თარიღი: 03. 12. 2020
სინჯის აღების სიღრმე **h** = 3.6 მ	

ლაბ. № 93

სიხისტე

დასახელება	გერმანული ბრადუსი	მგ/ექვ
საერთო	179.9	64.3
კარბონატული	16.8	6.0
არაკარბონატ.	163.1	58.3
მინერალიზაცია		
საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	5865.12
ნახშირორჟანგი CO_2		
თავისუფალი CO_2	მგ/ლ	88.00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{5.9}\frac{SO^4_{88}}{Ca_{70}\ Na_{27}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_pH$	4.5

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	170.58	4.81	5.47
	სულფატი	SO_4^{2-}	3702.60	77.09	87.71
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	366.00	6.00	6.83
	კარბონატი	CO_3^{2-}	0.00	0.00	0.00
	ჯამი		4239.18	87.89	100.00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	$Na^+ + K^+$	543.56	23.63	26.89
	კალციუმი	Ca^{2+}	1230.54	61.40	69.86
	მაგნიუმი	Mg^{2+}	34.84	2.86	3.25
	ჯამი		1808.94	87.89	100.00

შპს „ახალი საძძალაძმშენპროექტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43ჲ

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. მუხიანის დასახლება. IV მ/რ (ს.კ. 01.11.17.005.154)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

წყალაუნქტის დასახელება ჭაბ № 3	სინჯის აღების თარიღი: 03. 12. 2020
სინჯის აღების სიღრმე **h** = 2.9 მ	

ლაბ. № 94

სიხისტე

დასახელება	გერმანული ბრადუსი	მგ/ექვ
საერთო	180.9	64.6
კარბონატული	14.0	5.0
არაკარბონატ.	166.9	59.6

მინერალიზაცია

საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	5780.80

ნახშირორჟანგი CO_2

თავისუფალი CO_2	მგ/ლ	66.00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{5.8}\frac{SO^4_{90}}{Ca_{72}\ Na_{25}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_pH$	4.5

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	136.46	3.84	4.45
	სულფატი	SO_4^{2-}	3720.50	77.46	89.75
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	305.00	5.00	5.79
	კარბონატი	CO_3^{2-}	0.00	0.00	0.00
	ჯამი		4161.96	86.30	100.00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	$Na^+ + K^+$	498.82	21.69	25.13
	კალციუმი	Ca^{2+}	1237.69	61.76	71.56
	მაგნიუმი	Mg^{2+}	34.84	2.86	3.31
	ჯამი		1771.35	86.30	100.00

შპს „ახალი საქართველოს“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43ჲ

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. მუხიანის დასახლება. IV მ/რ (ს.კ. 01.11.17.005.154)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

წყალაუნქტის დასახელება ჭაბ № 5	სინჯის აღების თარიღი: 03. 12. 2020
სინჯის აღების სიღრმე **h** = 2.9 მ	

ლაბ. № 95

სიხისტე

დასახელება	გერმანული ბრადუსი	მგ/ექვ
საერთო	181.9	65.0
კარბონატული	16.8	6.0
არაკარბონატ.	165.1	59.0
მინერალიზაცია		
საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	5933.10
ნახშირორჟანგი **CO_2**		
თავისუფალი **CO_2**	მგ/ლ	88.00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{5.9}\frac{SO^4_{88}}{Ca_{70}\ Na_{27}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_pH$	4.5

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	**Cl^-**	170.58	4.81	5.41
	სულფატი	**SO_4^{2-}**	3750.00	78.08	87.84
	ჰიდროკარბონატი	**HCO_3^-**	366.00	6.00	6.75
	კარბონატი	**CO_3^{2-}**	0.00	0.00	0.00
	ჯამი		4286.58	88.88	100.00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	**$Na^+ + K^+$**	549.84	23.91	26.90
	კალციუმი	**Ca^{2+}**	1244.84	62.12	69.89
	მაგნიუმი	**Mg^{2+}**	34.84	2.86	3.21
	ჯამი		1829.53	88.88	100.00

დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის აბრესიული ზემოქმედების ხარისხი
სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№93-94-95

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი ფენა №№1-3-5 ჭაბურღილების უბნებზე h_1=3.6 მ, h_3=2.9 მ და h_5=2.9 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$<0,1 მ/დღ

აბრესიული ზემოქმედების ხარისხი ბეტონების მიმართ სულფატების და ჰიდროკარბონატების შემცველობის მიხედვით

ცემენტის სახეობა	ბეტონის მარკა წყალშეუღწევადობის მიხედვით		
	W_4	W_6	W_8
პორტლანდცემენტი (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108)	ძლიერი	ძლიერი	ძლიერი
პორტლანდცემენტი (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108), კლინკერში ჩანართებით C_3S - 65%, C_3A - 7%, $C_3A + C_4AF$ - 22% და წიდაპორტლანდცემენტი	არა	არა	არა
სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი)	არა	არა	არა

აბრესიული ზემოქმედების ხარისხი ბეტონების მიმართ სულფატების შემცველობის მიხედვით

ცემენტის სახეობა	ბეტონის მარკა წყალშეუღწევადობის მიხედვით	
	W_{10}-W_{14}	W_{16}-W_{20}
პორტლანდცემენტი (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108)	ძლიერი	საშუალო
პორტლანდცემენტი (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108), კლინკერში ჩანართებით C_3S - 65%, C_3A - 7%, $C_3A + C_4AF$ - 22% და წიდაპორტლანდცემენტი	არა	არა
სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი)	არა	არა

